პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო.

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ოთხშაბათი, 9 სექტემბერი, 1942 წ. № 214 (6530). ფასი 15 კაპ.

ფრონტის მძლავრი დასაყრდენი

იმ დღეებში, როცა ჰიტლერელთა ათობით დივიზია სტალინგრადისაკენ მოისწრაფვის, თვით კავკასიის ქედის ძირამდე მოძვრება, საბჭოთა ხალხის ფიქრი და თვალი მიპყრობილია წითელი არმიისადმი. სამშობლო მას, თავის დამცველს, განუწყვეტლივ უგზავნის საჭურველს, საომარ მასალას, სურსათს. ჩვენს ქვეყანაში ზურგი და ფრონტი ერთიანი საბრძოლო ბანაკია. ზურგი ფრონტის მძლავრი სულიერი და მატერიალური დასაყრდენია.

...

ბოლშევიკები არასოდეს არ ქმლევიან განცხრომას, ხოლო მით უმეტეს ომიანობის დროს. შეჯიბრების მოწინავეებმა უნდა ამრავლონ თავიანთი მიღწევები, ხოლო მრეწველობის მეთაურები და პარტიული ორგანიზაციები მოვალენი არიან იმას მიაღწიონ, რომ ჩვენში სრულებითაც არ იყოს ჩამორჩენილი ქარხნები და საამქროები. სექტემბერში კიდევ უფრო კარგად უნდა ვიმუშაოთ, ვიდრე აგვისტოში ვმუშაობდით, და ამავე ...

...

მაშასადამე, ახლა, სექტემბერში, შესაძლებლობა მოგვეპოვება კიდევ უფრო გავადიდოთ თვითმფრინავთა გამოშვება. ეს არ შეიძლება არ ახარებდეს ჩვენს ქვეყანას და წითელ არმიას. შესანიშნავი ის არის, რომ საბჭოთა თვითმფრინავების მშენებლები არა მარტო ადიდებენ მანქანების გამოშვებას, არამედ გვაძლევენ უფრო და უფრო მეტს ისეთ მანქანებს, რომლებიც თავისი ხარისხით მტრის მანქანებს სჯობია. საბჭოთა კონსტრუქტორებმა განსაკუთრებულ წარმატებებს მიაღწიეს ახალ-ახალი ტიპის საბრძოლო მანქანების შექმნის დარგში, მანქანებისა, რომლებიც ძილებულია წითელი არმიის სამხედრო-საჰაერო ძალების შესაიარაღებლად. გუშინ გამოქვეყნდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება კონსტრუქტორების ამხ. იაკოვლევისა და ილიუშინის საცდელი საკონსტრუქტორო ბიუროების დაჯილდოების შესახებ.

საავიაციო და სატანკო მოტორები, ტანკებისა და თვითმფრინავების ჯავშანი გაკეთებულია საბჭოთა მეტალურგიულ ქარხნებში გამოდნობილი ფოლადისაგან. ამ ქარხნების კოლექტივებს, თვითმფრინავებისა და ტანკების მშენებლებთან ერთად, დღეს ჩვენ ვხედავთ სრულიად-საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების მოწინავეთა სიებში.

აგვისტოს წარმატებებმა თავბრუ არავის არ უნდა დაახვიოს. ნამდვილი ...

... ჯარებისათვის. საჭიროა, რომ ყველა საბჭოთა მფრინავმა ისწავლოს ჩვენი მანქანების უპირატესობათა მთლიანად გამოყენება, საჭიროა, რომ ისინი ძველი გამარჯვებებით არ დაკმაყოფილდნენ, დაუღალავად იწრთვნებოდნენ, აუმჯობესებდნენ თავიანთ ხელოვნებას და ამაღლებდნენ თავიანთ ოსტატობას.

სამშობლო წითელ არმიას აძლევს შესანიშნავ ტანკებს, საუკეთესო არტილერიას, რომელთა მაღალი ღირსება მტრებიც კი იძულებული არიან აღიარონ. საბჭოთა ტანკისტებმა და არტილერისტებმა ზედმიწევნით უნდა შეისწავლონ თავიანთი იარაღი, გახდნენ თავიანთი საქმის ოსტატები, ურტყან გერმანელ ფაშისტ დამპყრობთ და უკლებლივ გაჟლიტონ ისინი.

მრეწველობის მუშაკებო—ლითონის ოსტატებო, თვითმფრინავებისა და ტანკების მშენებლებო, იარაღისა და საომარ მასალათა შემქმნელნო! როცა სამშობლო საფრთხეშია, თქვენ მოგეთხოვებათ კიდევ უფრო დაძაბოთ მთელი ძალები, რათა განუწყვეტლივ გააძლიეროთ დახმარება ფრონტისადმი!

წითელი არმიის მეომრებო! რკინისებური სიმტკიცით, დაუძლეველი შეუპოვრობით, მხედრული ოსტატობით ააშორეთ სამშობლოს საფრთხე, რომელიც მას თავს დასტრიალებს!

სიკვდილი გერმანელ ოკუპანტებს!

„პრავდის“ მოწინავე, 8/IX.

ნორვეგიელი ელჩის ბ-ნ რ. ანდვორდის მიღება ამხ. ვ. მ. მოლოტოვის მიერ

8 სექტემბერს საგარეო საქმეთა სახალხო კომისარმა ამხ. ვ. მ. მოლოტოვმა მიიღო ნორვეგიის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში ბ-ნი რ. ანდვორდი.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საავიაციო მრეწველობის სახალხო კომისრის მოადგილის, სოციალისტური შრომის გმირის, კონსტრუქტორ ამხ. ა. ს. იაკოვლევის დაჯილდოების შესახებ

საბრძოლო თვითმფრინავების ახალი ტიპების შექმნის დარგში თვალსაჩინო წარმატებებისათვის და საავიაციო მრეწველობაში საცდელ თვითმფრინავთმშენებლობის ორგანიზაციის საქმეში დამსახურებისათვის დაჯილდოებულ იქნას საავიაციო მრეწველობის სახალხო კომისრის მოადგილე, სოციალისტური შრომის გმირი, კონსტრუქტორი ამხ. ალექსანდრე სერგის-ძე იაკოვლევი ლენინის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. კალინინი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი

მოსკოვი, კრემლი. 1942 წ. 6 სექტემბერი.

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

8 სექტემბრის დილის ცნობა

7 სექტემბრის ღამის განმავლობაში ჩვენი ჯარები ბრძოლებს ეწეოდნენ მტერთან სტალინგრადის დასავლეთით და სამხრეთ-დასავლეთით, აგრეთვე ნოვოროსიისკისა და მოზდოკის რაიონებში. სხვა ფრონტებზე არსებითი ცვლილება არ მომხდარა.

* * *

სტალინგრადის დასავლეთით გრძელდებოდა გაფთრებული ბრძოლები. 6 შენაერთის ნაწილებმა მოიგერიეს მტრის იერიში. გერმანელებმა ახალი ძალები მოიშველიეს და ტანკების დახმარებით რამდენიმე საათის განმავლობაში ცდილობდნენ გაერღვიათ ჩვენი თავდაცვა. ჰიტლერელთა ყველა იერიში მოგერიებულია. ბრძოლის ველზე მოწინააღმდეგემ ...

... ამ თავდაცვითი ზღუდისათვის ბრძოლებში მოსპობილია გერმანელთა 6 ტანკი, 20 ტყვიამფრქვევი, 10 საზიდარი სამხედრო ქონებიანად, 4 ავტომანქანა და მტრის 600-მდე ჯარისკაცი და ოფიცერი.

* * *

ჩრდილოეთ - დასავლეთის ფრონტზე ადგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლები სწარმოებდა. ჩვენმა მეავტომატეებმა უფროს ლეიტენანტ ამხ. კოპასოვისა და პოლიტხელ ამხ. ვოტანოვის მეთაურობით იერიში მიიტანეს და დაიკავეს მტრის თავდაცვის კვანძი. სხვა უბანზე არტილერიისა და ნაღმსატყორცნების ცეცხლით გაჟლეტილია 150-მდე გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი.

...

შეუპოვარი ბრძოლები მტრის ტანკებსა და ქვეით ჯართან, რომლებიც სოლივით შეიჭრნენ ჩვენს თავდაცვაში. გერმანელმა მეავტომატეებმა სცადეს ზურგიდან ჩაეგდოთ ხელში ჩვენი საარტილერიო ბატარია. არტილერისტი წითელფლოტელები ბრძოლაში ჩაებნენ და მოიგერიეს მტერი. ჩვენმა მეტყვიამფრქვევეებმა პოლიტხელ ამხ. როდინის მეთაურობით მიბრჯენ სროლით გასწყვიტეს მტრის მეავტომატეთა ჯგუფი. სხვა უბანზე ამხ. ერმოლენკოს ნაწილის მებრძოლები სამი საათის განმავლობაში ეწეოდნენ ბრძოლას მტრის რიცხვობრივად ჭარბი ძალების წინააღმდეგ. ამ ბრძოლაში მათ მოსპეს გერმანელთა ერთ ასეულამდე ქვეითი ჯარი.

* * *

მოზდოკის რაიონში მოწინააღმდეგემ არტილერიის ცეცხლისა და ავიაციის საფარით წყლის ზღუდეზე გადმოიყვანა ქვეითი ჯარი და ტანკები. საბჭოთა ქვეითებმა არტილერისტებთან და ჯავშანსატეხებთან თანამოქმედებით დააზიანეს და მოსპეს გერმანელთა 10 ტანკი, 6 ჯავშნიანი მანქანა და გასწყვიტეს 850-მდე ჯარისკაცი და ოფიცერი. მტერმა დარტყმას ვერ გაუძლო და სცადა ბრძოლიდან გასულიყო. ჩვენმა ნაწილებმა ფლანგიდან დაარტყეს და განაგრძობენ ბრძოლებს მტრის დაჯგუფების მოსასპობად.

* * *

წითელდროშოვანი ბალტიის ფლოტის მოიე- ...

... ებად აქცევენ. პოლონეთში შექმნილია გერმანული საზოგადოება „ოსტლანდი“, რომელმაც უკვე ხელთ იგდო პოლონელთა 7 მილიონზე მეტი ჰექტარი მიწა. აღმოსავლეთ პრუსიიდან მოსულმა გერმანელმა მემამულემ ემილ ბრუდულმა უკვე ჩაიგდო ხელში ფელიქს იანოვიჩის, კოხანსკის, ჟურალსკის, კრაევსკის და ბევრი სხვა პოლონელი გლეხის მეურნეობა. პრუსიელმა მემამულემ გლეხებს წაართვა მთელი მიწა, პირუტყვი, საცხოვრებელი ბინა და სამეურნეო ნაგებობანი. წინათ ფელიქს იანოვიჩს ჰქონდა 50 მორგი მიწა, სახლი და ჰყავდა ორი ცხენი. გერმანელებმა ღატაკად გადააქციეს იგი. ახლა იანოვიჩმა თავის საკუთარ სახლში კუთხით სარგებლობისათვის თვეში 7 დღე უნდა იმუშაოს გერმანელი მემამულის სასარგებლოდ. ახლადმოვლენილმა მემამულემ, მოიერიშეების ყოფილმა ხელმძღვანელმა ვილი ბლანკმა, ახლო-მახლო სოფლებიდან მორეკა ძალით პოლონელი გლეხები და აიძულებს მათ დღე-ღამეში 16 საათი იმუშაონ მის სასარგებლოდ. მის მამულში გლეხები უხეირო ბარაკებში ცხოვრობენ და საზიზღარ საჭმელს იღებენ. მათ აკრძალული აქვთ მამულის ტერიტორიიდან თავისი ნებით წასვლა. თვით უმცირესი დანაშაულისთვის გლეხებს მხეცურად სცემენ ან საკონცენტრაციო ბანაკში ჰგზავნიან. ასეთია გერმანული წესები, რასაც ჰიტლერელები მათ მიერ დაპყრობილ ქვეყნებში ამყარებენ.

8 სექტემბრის საღამოს ცნობა

...

საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატში

იმ მოლაპარაკების შედეგად, რომელიც ამ უკანასკნელ ხანს სწარმოებდა, სსრ კავშირის მთავრობასა და ჩეხოსლოვაკიის, იუგოსლავიის და ნორვეგიის მთავრობებს შორის მიღწეულია შეთანხმება, რომლის თანახმადაც ამ ქვეყნების ხალხებსა და მთავრობებს შორის ამჟამად არსებული მეგობრული ურთიერთობის, აგრეთვე ჰიტლერული გერმანიის წინააღმდეგ ომში მჭიდრო კავშირის აღსანიშნავად, სსრ კავშირის დიპლომატიური წარმომადგენლობანი ჩეხოსლოვაკიის, იუგოსლავიისა და ნორვეგიის მთავრობებთან და აღნიშნული ქვეყნების დიპლომატიური წარმომადგენლობანი სსრ კავშირის მთავრობასთან, ურთიერთობის საფუძველზე, გარდაქმნილია მისიებიდან საელჩოებად.

დესპანებს, რომელთაც დღემდე ეს მთავრობები ერთმანეთს უგზავნიდნენ, ელჩების რანგი მიენიჭათ.

პოლიტხელ დათუაშვილის სიმამაცე

(მოსკოვი, „კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტისაგან)

„პრავდის“ 6 სექტემბრის ნომერში მოთავსებულია სამხედრო კორესპონდენტ ამხ. მერკანოვის სტატია სათაურით „დარტყმას დარტყმით ვუპასუხებთ“, რომელშიც იგი სწერს:

„კავკასიის მისადგომებთან მტერი ჩვენი ჯარების სერიოზულ წინააღმდეგობას წააწყდა. მტრის სატანკო, ქვეითი, სამთო-მსროლელი დივიზიები მთელ ძალღონეს ძაბავენ, რომ გაიჭრან გროზნოსაკენ, ცდილობენ გადალახონ მთის მდინარე, ღრმად შეიჭრან სამხრეთით. ჩვენი ნაწილები მედგრად იგერიებენ იერიშებს და ხშირად კონტრიერიშებზე გადადიან. ფრონტის ერთერთ უბანზე საბჭოთა გვარდიელებმა გაანადგურეს რუმინელთა მეორე სამთო-მსროლელი დივიზიის მეათე ბატალიონი, წინ წაიწიეს და ახალი ზღუდეები დაიკავეს. მეზობელ უბანზე მწყობრიდან გამოვიდა ბატალიონის მეთაური. იგი შესცვალა პოლიტხელმა დათუაშვილმა. იგი საუცხოოდ, გაბედულად, ტაქტიკური წესების კარგად გამოყენებით მეთაურობდა ბრძოლას და ინარჩუნებდა სოფლის ქუჩებს, რომლებიც ჯერ კიდევ პირველი იერიშის დროს იყო დაკავებული. მიუხედავად იმისა, რომ გერმანელებმა აქ მაშველი ძალები მოაყარეს, მებრძოლებს დღე-ღამის განმავლობაში უკან არ დაუხევიათ და ხელთ იგდეს სხვა ქუჩებიც. სისხლისაგან დაცლილმა გერმანელებმა რამდენჯერმე სცადეს შეტევა, მაგრამ ბატალიონი საუცხოოდ იბრძოდა. მტერი დამარცხდა და სოფლიდან რამდენიმე კილომეტრის მანძილზე იქნა უკუგდებული“.

ვ. ყარა-მურზა

ახალი საწარმოო გამარჯვებებით შევხვდეთ ოქტომბრის რევოლუციის XXV წლისთავს

ახალი ვალდებულებანი იკისრეს

8 სექტემბერს თბილისის მაუდ-კამვოლის ფაბრიკის მუშა-მოსამსახურენი გულდასმით გაეცნენ ქალაქ მოლოტოვის მშრომელთა მიტინგის წერილს - პატაკს ხალხთა დიდი ბელადის—ამხანაგ სტალინისადმი.

მაუდელებმა, რომლებიც ჩაბმული არიან საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში და ფრონტულად იბრძვიან აღებულ ვალდებულებათა განაღდებისათვის, აგვისტოში სერიოზული საწარმოო გამარჯვება მოიპოვეს: გეგმა დიდი გადაჭარბებით შეასრულეს, ქვეყანას გეგმის გადამეტებით მისცეს 21.713 მეტრი ქსოვილი, დაზოგეს 23.125 კილოგრამი საწვავი მასალა და 33.443 კილოვატსაათი ელექტროენერგია. ამავე დროს ივლისთან შედარებით 9 პროცენტით გაზარდეს შრომის ნაყოფიერება.

მოლოტოველთა პატაკის გაცნობასთან დაკავშირებით საუბარში გამოსულმა მუშებმა განაცხადეს, რომ დაუცხრომლად გაზრდიან შრომის ნაყოფიერებას, უფრო მეტსა და მეტ პროდუქციას მიაწვდიან ქვეყანასა და ფრონტს, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 25 წლისთავს ახალი საწარმოო გამარჯვებებით შეხვდებიან.

საპრეტურო საამქროს ქსოვლტატმა ფ. ედოვინამ, რომლის ბრიგადამ აგვისტოს გეგმა 112,3 პროცენტით შეასრულა, ვალდებულება აიღო სექტემბრის გეგმა 107 პროცენტით შეასრულოს და მიაღწიოს დამხმარე მასალის მნიშვნელოვან ეკონომიას. სტახანოველმა მქსოველმა ე. ტარტინსკაიამ, რომელმაც აგვისტოს გეგმა 113 პროცენტით შეასრულა, განაცხადა, რომ მოლოტოველთა საპასუხოდ სექტემბრის გეგმას 28 სექტემბრისათვის 115 პროცენტით შეასრულებს და მქსოველის სპეციალობაზე მოამზადებს ორ მოწაფეს.

ახალი საბრძოლო ვალდებულებანი იკისრეს აგრეთვე მქსოველმა ლ. ასათიანმა — სხვებმა.

დიდი წლისთავის ღირსეული შეხვედრისათვის

ქუთაისი („კომუნისტის“ კორ.). ქუთაისელმა რკინიგზელებმა პარტიულ კრებებზე, ხოლო შემდეგ მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებებზე ფართოდ განიხილეს ზამთრისათვის მზადების საკითხი და დასახეს კონკრეტული ღონისძიებები, რომლებიც წარმატებით სრულდება. რკინიგზელთა მთელი ძალები დარაზმულია იქითკენ, რომ საწარმოო ვალდებულებათა შესრულებისა და ზამთრისათვის მზადების დარგში ღირსეული გამარჯვებებით შეხვდნენ ოქტომბრის რევოლუციის XXV წლისთავს.

რკინიგზელები ფართოდ იყენებენ ადგილობრივ საშუალებებს. უკვე დამთავრდა საორთქლმავლო დეპოს შენობის რემონტი. დაიწყო ორთქლმავლების შეთბუნვა. ლუწნელმა მემანქანეებმა ქავთარაძემ, ვაშაკიძემ, პაიჭაძემ, ხუტიძემ, გოხიამ და კიკნაძემ ყოველმხრივ მოამზადეს საზამთროდ ხუთი ორთქლმავალი.

სალიანდაგო დისტანციამ, რომლის უფროსიც ამხ. კარაზანაშვილია, მოამზადა შენობები, ნიჩბები, საფრები, გაგზავნა შესამოწმებლად თოვლსაწმენდი, შემკეთებელი სახელოსნოები მოაწყო სადგურებში—რიონსა და ტყიბულში. ქუთაისის სადგურმა წესრიგში მოიყვანა ისრები და ლიანდაგები.

ს. ყურაშვილი

რკინიგზელებმა უნდა გააძლიერონ ზამთრისათვის მზადება

ჭიათურა („კომუნისტის“ კორ.). რკინიგზის ჭიათურის სადგური (უფროსი ორდენოსანი გეგია) ზამთრისათვის ჯანსაღ მდგომარეობაში მოსაყვანად ამზადებს სალიანდაგო და საისრე მეურნეობას. ლიანდაგი გაწმენდილია ნაგვისა და ზედმეტი რკინეულობისაგან, შეკეთდა მეორე, მესამე, მეხუთე, მეშვიდე ისრები. შეძენილია ცოცხები და ნიჩბები, კოლმეურნეობებთან დადებულია ხელშეკრულება დიდი თოვლის დროს მუშახელის გამოყვანაზე.

სავაგონო დეპოში უნდა გაკეთდეს კომპრესორი, სადგურის შენობის სახურავს რემონტი უნდა გაუკეთდეს. უნდა შეკეთდეს ღუმელები, ფანჯრები. მიღებულია ზომები შეშით მოსამარაგებლად.

ჭიათურის კვანძმა სოცშეჯიბრებას კიდევ უფრო გაჩაღებით უნდა გააძლიეროს ზამთრისათვის მზადება, რომ ღირსეულად შეხვდეს დიდი ოქტომბრის რევოლუციის XXV წლისთავს.

პ. ჭიოკაძე

მოსავლის აღება დამთავრებულია

წითელწყარო („კომუნისტის“ კორ.). წითელწყაროს მტს-ის მომსახურების კოლმეურნეობებმა დაამთავრეს თავთავიანი მარცვლეული კულტურების მოსავლის აღება. მოსავალი აღებულია 12.240 ჰექტარზე. მოსავლის აღება ყველაზე ადრე და წარმატებით დაამთავრეს წითელწყაროს კოლმეურნეობა „პუტ მტს-მა“ (თავმჯდომარე პ. ხალოდნოვი), კალინინის სახელობის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე ო. პეტრენკო), სოფ. მირზაანის ჟდანოვის სახელობის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე ვ. ფიროსმანიშვილი) და სხვ.

მტს-მა მექანიზებული საშუალებებით მოსავალი 7.500 ჰექტარზე აიღო.

ბრძოლები ნოვოროსიისკის რაიონში

მოქმედი არმია, 8 სექტემბერი (საკუთ. სპეც. კორესპონდენტისაგან). ნოვოროსიისკის რაიონში ჩვენი ნაწილები შეუპოვარ ... ხობდა მტრის წინა ხაზთან და იერიშზე გადავიდა. თავდასხმა უეცრად მოხდა და პანიკა გამოიწვია რუმინელთა შორის, მაგრამ ...

... მეზღვაურთა ერთ-ერთ ქვეგანაყოფს გარს შემოერტყნენ ფაშისტები. ეს ქვეგანაყოფი რამდენიმე საათის განმავლობაში იგერიებდა მტრის გაფთრებულ იერიშებს. მეზღვაურებმა 200-მდე ფაშისტი გაჟლიტეს, მტრის რკალი გაარღვიეს და თავიანთ ნაწილს შეუერთდნენ.

უშიშრობის ნიმუში გვიჩვენა 27 მეზღვაურმა ლეიტენანტ სავიცკის მეთაურობით. ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ ფაშისტებმა მბრძანებელი მაღლობი დაიკავეს. მეორე ღამით წითელფლოტელთა ჯგუფი მალულად ავიდა მაღლობის ციცაბო ფერდობებზე, მი- ... ნას. მოიერიშეებმა სამი შემოტევით მოსპეს რამდენიმე ტანკი, 3 ჯავშნიანი მანქანა, 20 ავტომანქანა ქვეით ჯარიანად და საომარ მასალიანად. სხვა ქვეგანაყოფმა დღის განმავლობაში მოსპო გერმანელთა 3 ტანკი, 10 სატვირთო მანქანა, 8 საზენიტო ქვემეხი და ერთ ასეულამდე ქვეითი ჯარი.

ბრძოლა ნოვოროსიისკის რაიონში თანდათან გაძლიერებული გაფთრებით გრძელდება. მტერს უდიდესი ზარალი მოსდის, მაგრამ კვლავ წინ მოისწრაფვის.

ი. ლაპონოგოვი
ქ. პუხოვი

ინგლისის ტრედ-უნიონთა კონგრესის გახსნა

ლონდონი, 7 სექტემბერი (საკდესი). რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, რომ 7 სექტემბერს ბლეკპულში გაიხსნა ინგლისის ტრედ-უნიონთა კონგრესი. კონგრესს ესწრება 700 დელეგატი 230 პროფკავშირისა, რომლებიც აერთიანებენ 5.500 ათას წევრს. შესავალი სიტყვა წარმოსთქვა ტრედ-უნიონების კონგრესის გენერალური საბჭოს თავმჯდომარემ უოლსტენკროფტმა.

სტუდენტთა საერთაშორისო ყრილობა ვაშინგტონში

ვაშინგტონი, 7 სექტემბერი (საკდესი). სტუდენტთა საერთაშორისო ყრილობის საბოლოო სხდომაზე მოსმენილ იქნა მისასალმებელი დეპეშები, რომლებიც მიღებულია მოსკოვის უნივერსიტეტის სტუდენტებისა, მოსკოვის ბაუმანის რაიონის სტუდენტებისა, მოსკოვის სამედიცინო ინსტიტუტის ასპირანტებისა და მოსკოვის საფეიქრო ინსტიტუტის სტუდენტებისაგან.

ყრილობამ მიიღო მთელი რიგი რეზოლუციები, რომლებიც შემდეგ მოწონებულ იქნა ყრილობის მიერ არჩეული სტუდენტთა საერთაშორისო მუდმივი კომიტეტის მიერ. მიღებულ იქნა რეზოლუცია, რომელიც ამ კომიტეტს ავალებს ეცადოს და ურთიერთობა დაამყაროს ახალგაზრდობის სხვა ორგანიზაციებთან.

ყველა სხდომის განმავლობაში საბჭოთა დელეგატები ყრილობის ყურადღების ცენტრში იყვნენ. საბჭოთა დელეგატებს უაღრესად დიდი ყურადღება აქვთ დათმობილი პრესაში, რადიოში, კინოქრონიკაში.

მიღებულ იქნა აგრეთვე დეკლარაცია, რომელშიც შეჯამებულია ყრილობაზე რამდენიმე დღის განმავლობაში წარმოებული კამათი. დელეგატები დიდი ენტუზიაზმით შეხვდნენ დეკლარაციის იმ ნაწილს, სადაც სტუდენტები ერთსულოვნად გამოსთქვამენ იმედს, რომ რუზველტი და ჩერჩილი შეასრულებენ „თავის ვალდებულებას იმ მხრივ, რომ რაც შეიძლება მალე იქნას დაწყებული ევროპის კონტინენტზე შეტევა“.

დელეგატები მხურვალე ტაშისცემით შეხვდნენ აგრეთვე დეკლარაციის იმ ნაწილს, სადაც ლაპარაკია იმაზე, რომ საჭიროა დაუყოვნებლივ განახლდეს ინგლის-ინდოეთის მოლაპარაკება ინდოეთის ნაციონალური კოალიციური მთავრობის შედგენისა და ინდოელი ხალხისათვის პოლიტიკურ თავისუფლებათა მინიჭების საფუძველზე იმ მიზნით, რომ მობილიზებულ იქნას მთელი მისი ძალები ღერძის სახელმწიფოთა წინააღმდეგ ომში მონაწილეობისათვის.

ინგლისის წყალქვეშა ნავების მოქმედება ხმელთაშუა ზღვაში

ლონდონი, 8 სექტემბერი (საკდესი). როგორც ოფიციალურად იუწყებიან, ინგლისის წყალქვეშა ნავებმა ამ უკანასკნელი რამდენიმე კვირის განმავლობაში სერიოზული ზარალი მიაყენეს ღერძის ქვეყნების იმ გემთა ქარავნებს, რომელნიც ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთი ნაწილის მომარაგების ხაზებს უწევენ მომსახურებას. ჩაძირულია მტრის 7 გემი და დაზიანებულია 3.

მოკავშირეთა ავიაციის მოქმედება

ლონდონი, 8 სექტემბერი (საკდესი). როგორც ოფიციალურად იუწყებიან, გუშინ ამერიკელთა ბომბდამშენებმა „მფრინავმა სიმაგრეებმა“ თავდასხმა მოახდინეს შიდამის (როტერდამის მახლობლად) ვერფებზე და უტრეხტის რკინიგზის კვანძზე. ბომბდამშენებს თან ახლდნენ ინგლისის, დომინიონებისა და მოკავშირე ქვეყნების ავიაგამანადგურებელთა ესკადრილიები. საჰაერო ბრძოლაში ოკუპირებულ ტერიტორიაზე მოსპობილია მტრის 12 ავიაგამანადგურებელი. გარდა ამისა, რამდენიმე მანქანა დაზიანებულია.

იმავე დღეს ინგლისის ბომბდამშენი ავიაციის ცალკეულმა თვითმფრინავებმა იერიში მიიტანეს ემდენზე, ბრემერჰაფენზე და დასავლეთ გერმანიის სხვა ობიექტებზე.

ბრძოლები ეგვიპტეში

ლონდონი, 8 სექტემბერი (საკდესი). როგორც ოფიციალურად იუწყებიან, 5 სექტემბერს, ღამით, ფრონტის ჩრდილოეთ უბანზე პატრულების აქტიური მოქმედება იყო. სამხრეთ უბანზე ინგლისის ჯარები და არტილერია განაგრძობენ დასავლეთის მიმართულებით უკანდახეული მტრის შევიწროებას.

ჰიტლერელ კაციჭამიათა მხეცური ძალადობა ებრაელების მიმართ საფრანგეთში

ლონდონი, 8 სექტემბერი (საკდესი). ლონდონში მიღებულია ცნობები მხეცური ძალადობის შესახებ, რასაც ოკუპანტთა ბრძანებით ებრაელების მიმართ სჩადიან პარიზში. ავადმყოფებს საავადმყოფოებიდან ერეკებიან. მშობლებს ართმევენ ბავშვებს. 28 ათასი მამაკაცის, ქალისა და ბავშვის დაპატიმრების დროს 300 კაცმა თავი მოიკლა. მხეცურმა ანტისემიტურმა ღონისძიებებმა პარიზის ადმინისტრაციული აპარატის მოსამსახურეთა შორისაც კი გამოიწვია პროტესტები და აღშფოთება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პატრიოტულ-გმირული ფილმი „გიორგი საკაძე"



კადრი ფილმიდან — „გიორგი საკაძე"

ძვირფასი განძი კინოხელოვნებაში

გიორგი საკაძის—დიდი წინაპრის სახელი მრავალმხრივად ეხმაურება ჩვენი დროის ადამიანს. ძნელია აუღელვებლად უცქირო ფილმს, რომელიც ეკრანზე განასახიერებს ამ „გულსრულ და კარგ სარდალს, ჭკუიანს და გონიერს", როგორც მას „ახალი ქართლის ცხოვრება" იხსენიებს. დიდი მოურავის სახეში განხორციელებულია ქართველი ხალხის ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე მძიმე, ყველაზე ტრაგიკული და ყველაზე გმირული ფურცელი მე-17 საუკუნისა. მაგრამ ეს ფილმი მარტოოდენ პიროვნების მხატვრული სრულყოფა როდია. მასში მთელი ეპოქის სახეა მოცემული მისი ძირითადი წინააღმდეგობებით, ნაჩვენებია ხასიათებისა და ურთიერთობათა ლაბირინტი, რთული საზოგადოებრივი ცხოვრება, რომელშიაც გიორგი საკაძე მოღვაწეობდა. ეს ფილმი დიდი ოსტატობით გვახედებს ჩვენს წარსულში, გვიჩვენებს, ქართველი ხალხი თუ რა გმირულად ებრძოდა დამპყრობთა ურდოებს და მამაცურად იცავდა თავის თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას.

საქართველოს ისტორია ალსავსეა ქართველი ხალხის გმირული ბრძოლის მაგალითებით. „ქართველი ხალხი მთელი თავისი მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე მამაცურად იცავდა თავის თავისუფლებას. იგი გმირულად იგერიებდა რომის იმპერატორების, თურქეთის სულთანების, სპარსეთის შაჰების ურდოთა ურიცხვ თავდასხმას" (ლ. პ. ბერია). თურქეთის სულთანების და სპარსეთის შაჰების ურდოთა წინააღმდეგ ბრძოლაში გრიგალივით განვლო გიორგი საკაძის ქარიშხლიანმა ცხოვრებამ.

ქართველმა ხალხმა, მისი ისტორიის ერთ-ერთ უმძიმეს, კრიტიკულ მომენტში თავისი წიაღიდან წარმოშვა უშიშარი გმირი, რომელმაც სამშობლოს სამსახურს საკუთარი სიცოცხლე მოახმარა, ვინაიდან გულში ღრმად ჩაიბეჭდა პატრიოტული სიტყვები: „ბედნიერია ის, ვისაც სამშობლოსათვის უძგერს გული". პატრიოტიზმის მხურვალე გრძნობით აღანთებს მაყურებელს ეს შესანიშნავი. გრანდიოზული ფილმი, რომელიც ნიჭიერმა კინო-რეჟისორმა მიხეილ ჭიაურელმა გერმანიის პირსისხლიანი ფაშიზმის წინააღმდეგ საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომის დღეებში შექმნა მწერალ ა. ანტონოვსკაიას და ბ. ჩორნის სცენარის მიხედვით.

მძიმე და ამაღელვებელია სცენა სამშობლოსთან გიორგი საკაძის გამოთხოვებისა. მრავალმეტყველად გაისმის მისი სიტყვები სამშობლოს სიყვარულისა და მტრის სიძულვილის შესახებ. ეს სცენა, ისე როგორც მთელი ფილმი, მაყურებელში აძლიერებს უსაზღვრო სიყვარულს სამშობლოსადმი და მრისხანე სიძულვილს ვერაგი მტრისადმი. ამაშია ფილმის დიდი გამარჯვება. მაგრამ ეს ფილმი მაყურებელში ამავე დროს ნერგავს გმირულ სულისკვეთებას, უშიშრობას ბრძოლაში, გადამწყვეტ მომენტში მზადყოფნას თავი შესწიროს სამშობლოს, უკან არ დაიხიოს, გაიმაგროს ნებისყოფა და უკუაქციოს მტერი, როგორც ამას ბრწყინვალედ გვიჩვენებს სურამის ისტორიული ბრძოლა, როცა შადიმან ბარათაშვილის სარდლობით წაგებული ბრძოლა გმირმა საკაძემ გამარჯვებით დააგვირგვინა. უკანდახევა მან წარმატებით გადააქცია შეტევად და სამშობლო დაღუპვისაგან იხსნა.

პირდაპირ უზადოა ფილმის ბატალური სცენები. რეჟისორ მიხეილ ჭიაურელის დიდი მხატვრული ფანტაზიის მრავალ ბრწყინვალე ნაყოფთა შორის მაინც მკვეთრად გამოირჩევა აღმოსავლეთის მრისხანე მბრძანებლის კარზე საკაძის ცხოვრების ჩვენება. აქ ლაკონიურობა ქედს იხრის ოსტატობის წინაშე. რეჟისორმა შესძლო დიდი მოურავის მრავალწლიანი ბრძოლები აღმოსავლეთის ქვეყნებში კინოლენტის სულ რამდენიმე მეტრით ეჩვენებინა.

გმირი სარდალი, შორსმჭვრეტელი დიპლომატი და მზრუნველი მამა—გიორგი საკაძე დიდი აქტიორული შტრიხებით შეუმკია აკაკი ხორავას მრავალმხრივ ტალანტს. მისი დიდი მოურავი შინაგანი და გარეგანი ეფექტების ორგანიული შეერთებაა, ბოლომდე დასრულებული, ერთიანად შეკრული, რომელიც ერთბაშად აღწევს მაყურებლამდე და ეუფლება მას. იგი დიდ ადამიანად დგას ჩვენს წინაშე, როცა ბრძოლის ველზეა; როცა აუვნებლებს ფეოდალთა ინტრიგების დახლართულ ქსელს, როცა იბრძვის დაქუცმაცებული სამთავროების გაერთიანებისათვის, რომ ქვეყანა მტკიცე იყოს, როცა თავის შვილებს ასწავლის შრომას, ასწავლის ბრძოლას და ზრუნავს მომავალი დღეებისათვის. ეს სახე მონუმენტალურია.

ვერიკო ანჯაფარიძის რუსუდანში გმირი ქართველი დედის ტიპიური ხასიათებია გამოკვეთილი. ტრაგიზმის მწვერვალიდან მთელი თავისი დიდბუნებოვნებით გვიცქერის ეს ადამიანი, ქმრისა და შვილების უანგაროდ მოყვარული, მაგრამ რომელიც სამშობლოს სიყვარულს ყველაფერზე მაღლა აყენებს. აქტიორმა თავის მიზანს მთლიანად მიაღწია.

ეპიზოდურ როლში სულ რამდენიმე შტრიხით გამოკვეთა აკაკი ვასაძემ აღმოსავლეთის მრისხანე მბრძანებელი — შაჰ-აბასი. პორტრეტულ მსგავსებას ხელს უწყობს აქტიორის დიდი კულტურა და როლის ღრმა გაგება. სხვანაირი შაჰ-აბასი თითქოს წარმოუდგენელი იყო. აქ აღარ გვხვდება შაჰ-აბასის ტრადიციული გაგება. ალბათ ეს სახე ასე დამკვიდრდება ჩვენს დრამატიულ და კინოხელოვნებაში.

შეიძლება სხვაგვარი გვეჩვენებოდეს შადიმან ბარათაშვილის სახე, მაგრამ იგი ვიწროდ გაგებული ისტორიული პიროვნებიდან უფრო ტიპიურად გვეხატება და ამ მხრივ სერგო ზაქარიაძის თამაში დიდ აქტიორულ მიღწევად უნდა ჩაითვალოს. ფილმში მსახიობთა მთელს ანსამბლს წარმატებისათვის მიუღწევია, რასაც ხელს უწყობს კარგი მხატვრობა და შესანიშნავი მუსიკა.

დიდია ფილმ „გიორგი საკაძის" მნიშვნელობა ჩვენი სამამულო ომის მრისხანე დღეებში, როცა მთელი ძალით გაისმის ამიერ-კავკასიის თავისუფლებისმოყვარე ხალხთა ფიცის სიტყვები, რომ პირსისხლიან ჰიტლერელ ყაჩაღთა ხროვა, რომელიც კავკასიის ჭაღარა მთების კალთებს მოადგა, უკუქცეულ და მოსპობილ იქნება. ეს ფილმი ყველამ უნდა ნახოს, ვინაიდან იგი დიდი მხატვრული შთაგონებით აღგვანთებს და მოგვიწოდებს ულმობელი ბრძოლისაკენ ჩვენი სამშობლოს ვერაგი მტრების — ფაშისტი კანიბალების წინააღმდეგ. იგი ხელოვნების მგზნებარე სიტყვით მოგვიწოდებს ჩვენი მართალი საქმის გამარჯვებისაკენ, სამშობლოს დაცვისაკენ და ამაშია მისი დიდი მხატვრულ-პოლიტიკური ღირებულება.

დიდი წინაპრის მამაცური სახე

ჩვენს გმირულ ეპოქაში, როდესაც სამშობლოს ყველა ერთგული შვილი პატრიოტული აღფრთოვანებით აღდგა დიდ სამამულო ომში გერმანიის პირსისხლიანი ფაშიზმის წინააღმდეგ, განსაკუთრებით საგრძნობია ღრმა კავშირი ჩვენი სამშობლოს გმირულ წარსულთან, მის დევგმირებსა და რაინდებთან, რომლებიც შეურიგებელ ბრძოლაში იცავდნენ თავისი ხალხის ღირსებასა და თავისუფლებას.

ამ უკვდავ გმირთა პანთეონში ჩვენ სიამაყით წარმოვთქვამთ გიორგი საკაძის სახელს.

გიორგი საკაძის მხედრული საგმირო საქმენი და სამშობლოსადმი სიყვარული განსაკუთრებით ეხმაურება ჩვენს დროს.

გიორგი საკაძე, რომელიც თავის სიცოცხლეს არ ზოგავდა და რომელმაც თავისი საყვარელი შვილი პაატა შესწირა პროგრესიულ იდეალებსა და სამშობლოს ბედნიერებას, ახალი საგმირო საქმეებისათვის აღაფრთოვანებს მშობლიური წითელი არმიის მამაც მეომრებს.

დაე გიორგი საკაძის მაგალითმა კიდევ უფრო ძლიერად აღანთოს ჩვენი ჭაბუკების გულში მტრის წინააღმდეგ გააფთრების წმიდა ცეცხლი. პატრიოტულ მოწოდებად გაისმის გიორგი საკაძის სიტყვები: ბედნიერია ის, ვისაც სამშობლოსათვის უძგერს გული.

სცენარის ავტორები:

ა. ანტონოვსკაია, სტალინური პრემიის ლაურეატი.

ბ. ჩორნი

კინოხელოვნების დიდი მიღწევა

ამ მკაცრ ჟამებში, როცა ყოველი ჩვენგანის მთელი გულისყური სამამულო ომის ფრონტებისაკენ არის მიპყრობილი, როცა ყოველი ჩვენგანი მუშაობს ფრონტისათვის, თავდაცვისათვის, განსაკუთრებული სიხარულით ვხვდებით ფილმს „გიორგი საკაძეს". სამშობლოს სიყვარულით ღრმად გამსჭვალული ეს ფილმი, რომელიც კიდევ უფრო აღგვაფრთოვანებს საზიზღარი მტრების გასანადგურებლად, სამშობლოს თავისუფლებისათვის საბრძოლველად, მ. ჭიაურელის ნამუშევართა შორის ყველაზე უკეთესია. ამ ფილმში მ. ჭიაურელმა, ჩვენმა მსახიობებმა, განსაკუთრებით ა. ხორავამ, ვ. ანჯაფარიძემ, ა. ვასაძემ და სხვ., მაღალი ოსტატობა გვიჩვენეს. „გიორგი საკაძე" ქართული კინოხელოვნების დიდი მიღწევაა.

ლეო. ქიაჩელი

მწერალი, სტალინური პრემიის ლაურეატი

მონუმენტალური ნაწარმოები

მიხეილ ჭიაურელის ახალი ფილმი „გიორგი საკაძე" მაღალ ეტაპს წარმოადგენს ამ ნიჭიერი მხატვრის შემოქმედებაში. ფილმი მონუმენტალური ნაწარმოების შთაბეჭდილებას სტოვებს. იგი წარმოადგენს ფართო ეპიურ ტილოს, რომელიც გამსჭვალულია ღრმა ლირიზმითა და ემოციურობით.

სურათის ყოველ დეტალში მოსჩანს რეჟისორ მ. ჭიაურელის მაღალი გემოვნება და რეჟისორული ოსტატობა. შესანიშნავად არის შერჩეული ტიპაჟი. მასობრივი სცენები და განსაკუთრებით ბატალური ეპიზოდები გაკეთებულია ძალიან დიდი დახელოვნებითა და ზომიერების გრძნობით. ფილმში ასახულია საქართველოს მომხიბლველი ბუნება, ქართული მატერიალური კულტურის შესანიშნავი ძეგლები, ქართული მუსიკალური ფოლკლორის საუცხოო ნიმუშები.

დაუვიწყარ სახეებს ჰქმნიან ფილმში მთავარი როლების შემსრულებელნი ა. ხორავა, ვ. ანჯაფარიძე, ა. ვასაძე, ს. ზაქარიაძე, ლ. ასათიანი და სხვ.

ფილმი გამსჭვალულია ღრმა პატრიოტიზმით. ამაშია მთავარი ღირსება მ. ჭიაურელის შემოქმედებისა. რეჟისორი დიდი ტაქტითა და დამაჯერებლობით ატარებს იმ აზრს, რომ ქართველი ხალხი უმძიმესი განსაცდელის შავბნელ ეპოქებშიც კი არ ჰკარგავდა მხნეობას და შეუპოვარ ნებისყოფას, რომ ასეთ გადამწყვეტ მომენტებში იგი მუდამ წარმოშობდა მედგარ გმირებს თავისი ღირსების და თავისუფლების დასაცავად, მოსისხლე მტრის გასანადგურებლად.

მ. ჭიაურელის ეს ისტორიული ფილმი ცხოვლად ეხმაურება თანამედროვე მაყურებლის სულისკვეთებასა და განცდებს, მოგვიწოდებს საგმირო საქმეებისათვის, მშობლიური მიწის თავგანწირვით დაცვისათვის.

ლევან ასათიანი

დიდი ოსტატობა

დღეს, როდესაც ჰიტლერის ტირანიის წინააღმდეგ ბრძოლაში, საბჭოთა ადამიანები გმირობითა და თავგანწირვით მსოფლიოს აკვირვებენ, განსაკუთრებული სიყვარულით ვიგონებთ ჩვენი ქვეყნის ისტორიულ გმირებს. ასეთი გმირების რიცხვს ეკუთვნის გიორგი საკაძე. არასოდეს ისე სრულქმნილად არა ყოფილა გაშუქებული ჩვენი გმირის საკაძის ცხოვრება და მოღვაწეობა, როგორც დღეს. ამ მხრივ ერთ-ერთი უმშვენიერესი ნაწარმოებია ნიჭიერი კინორეჟისორის მ. ჭიაურელის ფილმი „გიორგი საკაძე".

[illegible]

კადრები ფილმიდან — „გიორგი საკაძე"

დავარტყათ მტერს, როგორც საკაძე ურტყამდა

მე დიდი ინტერესით ვინახულე ეს ისტორიული ფილმი. ჩემზე წარუშლელი შთაბეჭდილება დასტოვა სურათმა. დღეს, როცა ყოველი ჩვენგანი მხოლოდ ერთი ფიქრით ცხოვრობს — რაც შეიძლება მალე გაანადგუროს ჰიტლერელთა ურდო, ასეთი ფილმები კიდევ უფრო აღგვაფრთოვანებს.

მხატვრული გემოვნებით არის გადაღებული მასობრივი და ბატალური სცენები. განსაკუთრებით საინტერესოა სურამის ბრძოლა, რომელშიაც პირველად გამოჩნდა საკაძის დიდი სამხედრო ნიჭი და ვაჟკაცობა.

საკაძის გმირული სახე ჩვენ, წითელი არმიის მებრძოლებსა და მეთაურებს, მოგვიწოდებს, რათა საზიზღარ ჰიტლერელებს სასტიკი დარტყმები ვაგემოთ და გავათავისუფლოთ საბჭოთა მიწა ვერაგი ბარბაროსებისაგან.

პოლიტხელი **შ. თურმანიძე**

შესანიშნავი კინო-სურათი

ქართველი ხალხი უამრავ გმირულ ბრძოლებს აწარმოებდა მუხანათ დამპყრობთა წინააღმდეგ, რომლებიც ცდილობდნენ ფეხქვეშ გაეთელათ ჩვენი ქვეყნის ღირსება და თავისუფლება.

პატრიოტული ფილმი „გიორგი საკაძე" თავისუფლებისმოყვარე ხალხთა გმირული ბრძოლების ერთ-ერთი ბრწყინვალე ამსახველი სურათია.

ამ ფილმმა ჩემში კიდევ უფრო გაზარდა თავდადებული შრომისა და ბრძოლის სურვილი, რომ რაც შეიძლება მეტი და მეტი პროდუქცია მივცეთ ჩვენს მამაც წითელ არმიას, რომელიც გმირულად იცავს მამა-პაპათა სისხლით მორწყულ სამშობლო ქვეყანას.

გიორგი საკაძის ფარზე წარწერილი სიტყვები „ბედნიერია ის, ვისაც სამშობლოსათვის უძგერს გული" თითოეული ჩვენგანის გულზე სწერია პირსისხლიან ფაშიზმთან ბრძოლის მრისხანე დღეებში.

ნინა მარკოზაშვილი

თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის მრავალდაზგისანი მქსოველი.

ჩვენი თანასოფლელის სახე გმირობისაკენ მოგვიწოდებს

(ნოსტელ კოლმეურნეთა წერილი)

გიორგი საკაძის სახელი განსაკუთრებით ძვირფასია ჩვენთვის, ნოსტეს მცხოვრებთათვის. საკაძისეული კოშკი ახლაც ამაყად დგას ნოსტეში და მოგვაგონებს მისი მშენებლის, სახელოვანი სარდლის, სამშობლოს მოსიყვარულე დიდი მოურავის სახელს.

როცა „კომუნისტის" რედაქციამ გვაცნობა გიორგი საკაძის შესახებ კინოსურათის გამოშვება და მოგვიწვია მის სანახავად, ჩვენ სიხარულით ჩამოვედით თბილისში.

კინოსურათმა ჩვენში აღტაცება გამოიწვია. დიდი მოურავის დრო თვალწინ დაგვიდგა. ის, რაც მამათა და პაპათაგან გვსმენია, ახლა თვალნათლივ ვიხილეთ. ჩვენ ვნახეთ, როგორ ესხმოდა მტერი ჩვენს ქვეყანას, მაგრამ ქართველი ხალხი ვერ გასტეხა — წამებამ და აოხრებამ. გამოჩნდა ხალხის მეთაური გიორგი საკაძე და მტერს გეგმები ჩაუფუშა...

ახლა, როცა ამ სურათს ვუცქერით, როცა მთელი ჩვენი ქვეყნის წარსულში განვლილი ჭირვარამი თვალწინ დაგვიდგა, კიდევ უფრო გაღვივდა გულში სამშობლოს სიყვარული.

მოკლე დროში აყვავდა საბჭოთა საქართველო, ისე როგორც მთელი საბჭოთა კავშირი. დოვლათი დაგროვდა ხალხში, საამური და ბედნიერი ცხოვრება მოვიპოვეთ ჩვენი კომუნისტური პარტიისა და საყვარელი ბელადის დიდი **სტალინის** ხელმძღვანელობით. და ეს ბედნიერი ცხოვრება უნდა წაგვართვას მეოცე საუკუნის მხეცმა პირსისხლიანმა ჰიტლერმა. ფაშისტური გერმანია ცდილობს მონად აქციოს ხალხი, რომელიც მრავალი ათასი წლიწადი სისხლსა ღვრიდა თავისუფლებისათვის და მოიპოვა კიდეც ეს თავისუფლება.

არასდროს საბჭოთა ხალხი არ დასთმობს თავის სამშობლოს.

ჩვენ ყველამ გავგზავნეთ ფრონტზე შვილები, ქმრები, ძმები და მამები.—ლავრენტი, პეტრე, ტიტე, სანდრო ხიზამბარელნი, მიხა, ვანო და გიორგი წიკლაურები, სიმონ ნარიმანიძე და ჩვენი სოფლის სხვა მრავალი შვილი თავდადებით ებრძვის ჰიტლერელთა ურდოებს. სარდლობისაგან კოლმეურნეობამ მადლობა მიიღო გულადი მებრძოლის ანტონ სიდამონიძის აღზრდისათვის. ისინი იქ იბრძვიან თავდადებით, ჩვენ კი აქ თავაუღებლივ ვმუშაობთ, რომ ფრონტს მივაწოდოთ ყველაფერი. სოფ. ნოსტეს კოლმეურნეობა „სინათლე" მოწინავეა კასპის რაიონში. წელს იგი იღებს უხვ სამხედრო მოსავალს, ყველა სამუშაო დროზე სრულდება, გეგმებს გადაჭარბებით ვასრულებთ. კოლმეურნეობის წევრები აღფრთოვანებით მუშაობენ წითელი არმიისათვის. შევკრიბეთ და გავუგზავნეთ მებრძოლებს თბილი ტანსაცმელი. შევაგროვეთ ხორცი და სხვა პროდუქტები და გადავეცით წითელ არმიას. თავდაცვის ფონდისათვის დათესილ ნაკვეთებზე უკვე ავიღეთ და ჩავაბარეთ მოსავალი. მრავალი ცენტნერი ხორბალი გავუგზავნეთ წითელ მებრძოლებს.

დიდია ჩვენი სიძულვილი ვერაგი მტრისადმი. სურათმა გიორგი საკაძის შესახებ კიდევ უფრო გააღვივა ჩვენში სიყვარული სამშობლოსადმი და სიძულვილი გერმანელი ფაშისტებისადმი. „გიორგი საკაძე" მშვენიერი სურათია და კარგია, რომ იგი სწორედ ახლა, სამამულო ომის დღეებში გამოვიდა. ეს სურათი ყოველმა კოლმეურნემ უნდა ნახოს.

სოფ. ნოსტეს კოლმეურნეობა „სინათლის" გამგეობის თავმჯდომარე **ნატო ხიზამბარელი**, მეძროხეობის ფერმის გამგე **სტეფანე წიკლაური**, ბრიგადირი **ილიკო გაბოძე**, რგოლების ხელმძღვანელები: **ევა ხიზამბარელი, ბაბუცა სიდამონიძე, ლენო ხიზამბარელი, ეთერ კუსრაძე, მაშო გაბიდაური, ეფემია ჯლანტიაშვილი**, კოლმეურნენი: **გაბო სიდამონიძე და სონა გაბოძე.**

ფილმი უნდა ნახოს ყველა მებრძოლმა

როცა მ. ჭიაურელის ფილმს „გიორგი საკაძეს" ვუცქერდი, გამახსენდა მეორე ისტორიული ფილმი „ალექსანდრე ნეველი". ერთის მხრით გრანდიოზული მასობრივი სცენები, საუცხოო ბატალური ეპიზოდი — სურამის ბრძოლა და მეორე მხრით დიდი პატრიოტული გრძნობა, რომელიც ფილმის მთავარ გმირს ამოძრავებს, მაყურებელში აღტაცებას იწვევენ. ქართველ ხალხს დიდი ისტორიული წარსული აქვს. მრავალ საუკუნეთა მანძილზე იგი თავგამოდებით იბრძოდა დამოუკიდებელი, თავისუფალი არსებობისათვის. ამ ბრძოლაში არა ერთი და ორი გმირი 'წარმოშვა' ქართველმა ხალხმა და ერთი მათგანი არის დიდი სარდალი გიორგი საკაძე, რომლის სახელი გზას გაუნათებს ქართველ მებრძოლებს, თავდადებით, გმირულად რომ ულობავენ გზას ჰიტლერელ ურდოებს დიადი საბჭოთა კავშირის მოძმე ხალხთა შვილებთან ერთად.

„გიორგი საკაძემ" ჩემში კიდევ უფრო გააძლიერა სიძულვილი მტრისადმი, სიყვარული სამშობლოსადმი და რწმენა, რომ თავისუფლებისმოყვარე ხალხს მტარვალი ვერასოდეს ვერ გასტეხს. ჰიტლერელთა ურდოები კავკასიონის ხევებში გადაიჩეხებიან და საბოლოოდ განადგურდებიან.

ფილმი „გიორგი საკაძე" უნდა ნახოს ყოველმა მებრძოლმა, მეთაურმა.

ა. ი. ხოდოვი

უფროსი ლეიტენანტი

კინოფილმ „გიორგი საკაძის" დამდგმელი, რეჟისორი მ. ჭიაურელი, სცენარისტები ა. ანტონოვსკაია და ბ. ჩორნი და ფილმის გადამღები ჯგუფის მუშაკები ესაუბრებიან სოფ. ნოსტეს კოლმეურნეობა „სინათლის" წევრებს, რომელთაც ნახეს კინოფილმი თბილისის კინოსტუდიაში. ფოტო რუდოისა

აკადემიკოსი ს. ჯანაშია

დიდი შემოქმედებითი გამარჯვება

ფილმი „გიორგი საკაძე" ჩვენი საზოგადოებრივი და კულტურული ცხოვრების მრავალმხრივ შესანიშნავ მოვლენად უნდა იქნას აღნიშნული.

სურათის თემა თანამედროვე მაყურებლის სულის ყველაზე დაჭიმულ სიმებს ეხმაურება. იბადება დამსახურებული სიამაყის გრძნობა, რწმენა მშობელი ხალხის ძალებისა და მომავლისადმი. იწრთობა შეურიგებელი სული.

მე-17 საუკუნის დამდეგის ქართლ-კახეთის ტრაგედიის ნიადაგი დიდი ხნიდან მზადდებოდა. რუსთაველისდროინდელი საქართველოს განვითარების ბუნებრივი გზები ჯერ გაამრუდეს და შემდეგ, მე-14-15 საუკუნეების მიჯნაზე, უფსკრულისაკენ მიმართეს მონგოლ-თათრებმა.

სისხლისგან დაცლილი, დარბეული, დაქსაქსული საქართველო მე-16 საუკუნის დამდეგისათვის ორი ვეშაპის პირისპირ აღმოჩნდა. ეს ხონთქრის ოსმალეთი და ყაენის ერანი იყო. კარგად აგწერს მე-17 საუკუნის ისტორიკოსი ფარსადან გორგიჯანიძე საქართველოს ვითარებას მე-16 საუკუნეში. ფარსადანი გვიამბობს: ხონთქარი და ყაენი მაჰმადის რჯულზე იყვნენ და მრავალი დიდრონი ქვეყნის პატრონები. საქართველო-კი, რომელსაც ქრისტეს რჯული ეპყრა, თავად პატარა იყო და მერმე მრავლად გაყოფილი. ქართველი მეფე-მთავრები ერთმანეთის მარბეველი და მაწყინარნი იყვნენ. შინაური მტრობითა და ქიშპით სარგებლობდა მტერი და იქით ურუმები (ე. ი. თურქ-ოსმალები) არბევდნენ საქართველოს და აქით — ყიზილბაშები (ე. ი. ერანელები). „ამისთანა ორს დიდ ხელმწიფეს შუაში ბევრს ეცადნენ (ქართველები), აქეთ იქნიეს ხმალი და იქით, მრავალი ნავნებიც ქნეს, მაგრამ არ იქნა და ვერცა რას თავს გაუვიდნენ. ხონთქარმა და ყაენმა საქართველო შუა გაიყვეს: სამცხე, ქართლი და კახეთი ყაენს (დარჩა), იმერეთი, ოდიში, აფხაზეთი, გურია და ლაზის ქვეყანა — ხონთქარსა". ამ გაყოფას ბოლოსდაბოლოს საქართველოს ბევრი მეფე-მთავარი დასჯერდა, ქართლს გარდა. ქართლის „მეფე ლუარსაბ (პირველი ს. ჯ.) არ სჯერდა, კიდეც თაკილობდა, ამისთვის უფრო ურჩობდა და აქეთ ერანის თემსა და იქით ურუმის ქვეყანას არბევდნენ" ქართველებიო.

ამ გრანდიოზული ბრძოლის უკანასკნელი აქტი შესრულდა მე-17 საუკუნის დამდეგს. მას შემდეგ, რაც სისხლიანმა მტაცებელმა, შაჰ-აბასმა, 1614–1617 წ. წ. საცსებით მოსთხარა კახეთი (ასე ეგონა მტარვალს!), იგივე სასიკვდილო განსაცდელი აღიმართა საქართველოს ხერხემლის, მისი დედა-თემის, ქართლის წინაშე. და თუ ცოფმორეულმა აგრესორმა თავის მიზანს ვერ მიაღწია, თუ გამოხსნილ იქნა ქართლი, რაც იმავე დროს კახეთის მომავლის აღდგენის საწინდარიც შეიქნა, ეს უეჭველად შედეგია ქართველი ხალხის იმ თავდადებული ბრძოლისა, რომლის ორგანიზატორი და ხელმძღვანელი დიდი სარდალი გიორგი საკაძე იყო. აი, რატომ არის დიდებით მოსილი საკაძის სახელი მისი მშობელი ხალხის ისტორიაში, რატომ გვაღელვებს საკაძის მოწოდება დღესაც, საუკუნეების გადმოღმა.

ჭეშმარიტად აქტუალური თემა დამუშავებულია ისეთი ოსტატობით, რომ, ვიტყვი პირდაპირ, ჩვენ საქმე გვაქვს შედევრთან. მე დარწმუნებული ვარ, სურათი ჩადგება საუკეთესო ისტორიული ფილმების რიცხვში და გზას გაიკვლევს მსოფლიო ეკრანისაკენ. ფილმი შეკრულია საოცარი სიმტკიცით და გაჟღენთილი ეროვნული კოლორიტითა და ტემპერამენტით. საქართველოს დიდებული პეიზაჟები, მშობელი ერის ფიზიკური და სულიერი სილამაზე, ხალხური ზნე და ჩვეულება ორგანულად ჩაქსოვილია პიროვნული დიდსულოვნებისა და სიმამაცის აქტებში, სამშობლოსათვის გაღებული მსხვერპლის სიდიადეში, შეუდარებელს ბატალურ სცენებში და მაყურებლის დარბაზში მაცოცხლებელ ნაკადად იღვრება, სიამაყის გრძნობასთან ერთად, გმირობის სული.

განსაკუთრებით მადლიერი რჩება ჭიაურელს მაყურებელი იმისათვის, რომ იგი მთელი ფილმის მანძილზე არსად არ ჰკარგავს ზომიერების გრძნობას და არ ემორჩილება გაზვიადების მაცდუნებელ სტილს.

მაღალმხატვრულია აქტიორული შესრულება. წარუხოცელი რჩება მეხსიერებაში აკაკი ხორავას, აკაკი ვასაძის, სერგო ზაქარიაძის მიერ შექმნილი სახეები. თითქოს ხორცს ასხამს არმაზის კამეებს ვერიკო ანჯაფარიძე. კარგია მთელი დანარჩენი კოლექტივი. აქა-იქ თითქოს სასურველი რჩება მეტი გამომეტყველება, მაგრამ მჯობნის მჯობნი არ დაილევაო... უბადლოა მასა.

მწყობრია სიუჟეტი, ზუსტია და მახვილი ვერბალური (ვმსჯელობთ რუსული ვარიანტის მიხედვით) ტექსტი.

გამართულია თუ არა სურათი ისტორიულად? ძირითადსა და მთავარ ხაზებში — უთუოდ. ამ მხრივ ფილმის მეცნიერი კონსულტანტის, პროფ. ნ. ბერძენიშვილის დამსახურება თვალსაჩინოა.

ხელოვნების ამ დიდი ნაწარმოების მასშტაბი და საზოგადოებრივი მნიშვნელობა გვავალებს შევნიშნოთ, რომ დაზგაში სურათს ორიოდე ხიწვი გამოჰყოლია. მშვენიერია გუთნეულის „კურთხევის" კადრი, მაგრამ უადგილოა და არადამაჯერებელი დიდი მოურავი მეშაჰის როლში. აგრეთვე ზედმეტი გვეჩვენება ძელზე გაკვრა კაცისა სურათის დასაწყისში. არაფერს დაჰკარგავდა ფილმი, რომ არ ყოფილიყო „ისრის ძნის" არგუმენტაცია. თუ მეხსიერება არ გვატყუებს, ბუტაფორიულად გამოიყურება ხე, რომელზედაც მიცოცავს მაყიარი ჭაბუკი სურამის ომში... ეს ყველაფერი წვრილმანებია, რათქმაუნდა.

სურათი ეკრანზე გამოდის სამამულო ომის დღეებში და ეჭვი არ არის, როცა ქართლის დიდი მოურავი ეკრანიდან წითელი არმიის ბანაკშიაც გადავა, — ანთებული მეთაურის ტრადიციულ დაძახილზე: „ვინ ხართ მამაცი", [illegible] მებრძოლები კიდევ უფრო მტკიცედ მოსჭიდებენ ხელს იარაღს, რათა დაიცვან არა მარტო ახალი ცხოვრების ბედნიერება, არამედ ძველი დიდებაც, თავისი სახელოვანი წინაპრებისაგან ნაანდერძევი.

ჩვენ ვულოცავთ საქართველოს კინოსტუდიას და სურათის შემოქმედ კოლექტივს ამ გამარჯვებას.



გიორგი საკაძისეული კოშკი სოფ. ნოსტეში

თბილისის გარნიზონის სამხედრო ტრიბუნალში

ა. წ. 4 სექტემბერს თბილისის გარნიზონის სამხედრო ტრიბუნალში განხილულ იქნა სამხედრო მსახურთა ჯგუფის საქმე, რომელნიც დათვრნენ, დებოში მოახდინეს და წინააღმდეგობა გაუწიეს გამომახებულ პატრულებს.

ხულიგნების მიერ დაშვებული უწესრიგობის დროს მოკლულ იქნა ერთი სამხედრო მსახური.

სამხედრო ტრიბუნალმა ბანდიტებს და უწესრიგობის ბოროტ ორგანიზატორებს—ა. დ. ხაილოს, ბ. ს. კოტოვს და ი. ფ. ნაუმენკოს მიუსაჯა დახვრეტა.

განაჩენი სისრულეშია მოყვანილი.

დღეს კინოებში

რუსთაველის სახ., ოქტომბერი, კომკავშირელი, სპარტაკი და ლუქსემბურგის სახ. — „გიორგი საკაძე", 26 კომ. სახ. — „პეპო", მეცნიერება და ცოდნა — „პარტიზანის ქალიშვილი". კომინტერნი — „საჰაერო ფოსტა".

თეატრებსა და დასასვენებელ პარკებში

ოპერა — 9 სექტემბერს — „ფაუსტი და ვალპურგის ღამე", 10 სექტემბერს — „ტოსკა". **რუსთაველის სახელობის** — 9 სექტემბერს — „სხვისთვის სულელი, თავისთვის ჭკვიანი", 10 სექტემბერს — „მოსკოვის ბეჭსთან". **მარჯანიშვილის სახელობის** — 9 სექტემბერს — „გრიგალი", 10 სექტემბერს — „ინჟინერი სერგეევი". **გრიბოედოვის სახელობის** — 9 სექტემბერს — „ინჟინერი სერგეევი", 10 სექტემბერს — „ბარბაროსები". **სომხური თეატრი** — 9 სექტემბერს — „შურისძიება", 10 სექტემბერს — „აღმოსავლეთის დანტისტი". **ახუნდოვის სახელობის** — 9 სექტემბერს — „ბაზარ", 10 სექტემბერს — „გულშან ანა". **მუსიკალური კომედიის** — 9 და 10 სექტემბერს — „არშინ-მალ-ალან", 11 სექტემბერს — „საქორწინო მოგზაურობა". **ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკი** — ყოველდღე საესტრადო ორკესტრი, ჯაზი, ცეკვა, კარუსელი და სხვ.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ვ. ხატიაშვილი

დაკარგულია „საქკონსერვტრესტის" ზუგდიდის თხილის ქარხნის მრგვალი ბეჭედი ჩ. გ. 1124

საგარეჯოს რაიონის მრეწველი მუშა-მოსამსახურეები იუწყებიან ამავე დაწესებულების დირექტორის ვიქტორ ნიკოლაიშვილის შვილის

მანანა დიანოზის-ასულ ნიკოლაიშვილის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 9/IX, 7 ს. პეროვსკაიას ქ. № 12, დაკრძალვა 10/IX, 5 ს. ვერის ძველ სასაფლაოზე. 1123

საქ. სახელმწიფო ზოოვეტინსტიტუტის დირექცია და თანამშრომლები იუწყებიან დირექტორის მოადგილის პროფ. დ. აგლაძის დედის

მართა დავითის-ასულ აგლაძის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 9/IX, 7 ს. ბარნოვის ქ. № 49, დაკრძალვა 10/IX, 5½ ს. კუკიის სასაფლაოზე. 1125

ყარაიის სატყეო მეურნეობის მუშა-მოსამსახურეთა კოლექტივი იუწყება ალიოშა ბუაძის შვილის

შოთიკო ბუაძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 11/IX სოფ. შარდომეთში (ონის რაიონი). 1128

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადგილკომი იუწყება ასისტენტ ალექსანდრა კახაძის ვის

ამალია იაკობის-ასულ კახაძის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 9/IX, 7 ს. ოჯიოს ქ. № 4, დაკრძალვა 10/IX, 6 ს. 1122

საქ. მიწსახკომის მუშა-მოსამსახურეები იუწყებიან კონსტანტინე ჯაფარიძის ცოლის

ელენე ერმილეს-ასულ ჯაფარიძის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 9/IX, 7 ს. გამოსვენება 10/IX, 6 ს. (ტურგენევის ქ. № 2) ვერის ძველ სასაფლაოზე. 1127

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28.

უე 11139